ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (TSU NCADR) ორგანიზებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ა/წ 4 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი აკადემიური კორპუსის 115-ე აუდიტორიაში 11 საათიდან 15 საათამდე გაიმართება საჯარო ლექცია თემაზე: **მედიაცია - საქმიანობის ახალი სფერო საქართველოში და სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები.**

საჯარო ლექცია მიზნად ისახავს მონაწილეთათვის მედიაციის ინსტიტუტის არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა და რეგულირების პერსპექტივების, დავის გადაწყვეტის საშუალებათა სისტემაში მედიაციის უპირატესობების, მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ეთიკური მოვალეობების, მედიაციის სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზაციის პროცესში სამედიაციო საქმიანობის პროფესიად ფორმირების პერსპექტივების გაცნობას.

საჯარო ლექციაზე მოწვეულნი იქნებიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, იურიდიული საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები.

ღონისძიებას გაუძღვებიან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის ექსპერტები, სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი, სერტიფიცირებული მედიატორი - გიორგი ცერცვაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამგეობის წევრი, სერტიფიცირებული მედიატორი - ირაკლი ყანდაშვილი და სამართლის დოქტორი, ასისტ. პროფესორი, სერტიფიცირებული მედიატორი - ნათია ჩიტაშვილი.

მედიაციის ცნობიერების ამაღლების პროგრამა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (EWMI-PROLoG)“ ხელშეწყობით ხორციელდება.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

NCADR

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

## საჯარო ლექცია
## მედიაცია საქმიანობის ახალი სფერო და საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივები
## 4 სექტემბერი, 2017

| | |
|---|---|
| | **დღის წესრიგი** |
| 11:00 11:15 | მონაწილეთა რეგისტრაცია. |
| 11:15-12:15 | მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება ქართულ სამართლებრივი სივრცეში, არსებული რეგულირების ჩარჩო. დავის გადაწყვეტის პროცესების ჯაჭვი და მედიაციის ადგილი დავის გადაწყვეტის სისტემაში ADR continuum. მედიაციის უპირატესობები სასამართლო საქმისწარმოებისგან |
| 12:15 -13:30 | მედიაციის ინსტიტუციონალიზაციისა და საკანონმდებლო რეგულირების პერსპექტივები მედიაციის შესახებ კანონპროექტისა და ეთიკის კოდექსის პროექტის მაგალითზე. მედიატორის სერტიფიცირების სტანდარტი კანონპროექტის მიხედვით. |
| 13:30 – 15:15 | ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში. წარმომადგენლის მედიაციის პროცესში მონაწილეობის საფუძვლები, პრინციპები, მნიშვნელობა დავის გადაწყვეტის შესაფერისი ფორმის შერჩევისა და კლიენტის საუკეთესო ინტერესების რეალიზების კუთხით. წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები, წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები და პროცესში მონაწილეობის ინოვაციური მიდგომები, განსხვავებული სტრატეგიები ადვოკატ-მედიატორის ქცევის სტანდარტები და სახეცვლილი ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში |